საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5962/01
15/06/2021

5962-01-2-202106151034

შპს „ბლუბერი ფარმს“
მის: თბილისი, ვაკის რაიონი, გაბაშვილის ქ., № 2, ბინა 17
ელ. ფოსტა: a.c.garemo@gmail.com; aarveladze@yahoo.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 31 მაისის N9399 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლიხაურის მიმდებარე ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- ინფორმაცია სარწყავი სისტემის ქსელის მოსაწყობად გამოყენებული მილსადენის განთავსების შესახებ (მიწის ზედაპირზე თუ მიწის ქვეშ);
- ინფორმაცია სამელიორაციო სისტემის მოწყობის სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, წყალაღება გათვალისწინებულია მდ. აჭისწყლიდან. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ როგორც წარმოდგენილი GPS კოორდინატი, ისე სიტუაციურ რუკაზე მითითებული წყალაღების წერტილი არ ემთხვევა ზედაპირული წყლის ობიექტს (მდ. აჭისწყალს). ამასთან, მდ. აჭისწყალი წყალაღების წერტილიდან დაახლოებით 3.4 კმ, ხოლო საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 2.7 კმ-ში მდებარეობს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს საიდან იგეგმება წყლის აღება, ასევე ინფორმაცია მდინარის ჰიდროლოგიური მონაცემების, მათ შორის სხვა წყალმომხმარებლებისა და კუმულაციური ზემოქმედების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია წყალშემკრები ჭის შესახებ (მოცულობა), მისი განთავსების ადგილმდებარეობის მითითებით (GPS კოორდინატები); მათ შორის, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ჭა არსებულია თუ იგეგმება მისი მოწყობა/დამონტაჟება;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ჭაში შეგროვებული წყლის სარწყავი სისტემისთვის მიწოდება მოხდება ელექტრო ტუმბოს მეშვეობით. სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ელექტრო ტუმბოს შესახებ ინფორმაციას (ტექნიკური პარამეტრები), მისი განთავსების ადგილმდებარეობის მითითებით (GPS

კოორდინატები). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას სატუმბი სადგურიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი და მისი მოწყობა-ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების საკითხი (ხმაური, ვიბრაცია).

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე